FRIEDRICH EBERT STIFTUNG

Regional Office
South Caucasus

ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს

თბილისი, 6 აგვისტო 2019

პატივცემულო მინისტრო,

ჩვენთვის დიდი პატივია, მოგიწვიოთ საქართველოში მინიმალური ხელფასის საკითხთან დაკავშირებულ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც გაიმართება ფრიდრიხ ებერტის ფონდის ორგანიზებით თბილისში, ამა წლის 8 ოქტომბერს.

მოგეხსენებათ, რომ ყოველთვიური მინიმალური ხელფასი საქართველოში ძალიან დაბალია და არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. 1999 წელს მინიმალური ხელფასის აღნიშნული ზღვრის დადგენის შემდეგ მისი შესწორება აღარ მომხდარა. დღემდე არც პოლიტიკურ დღის წესრიგში ასახულა დისკუსია მინიმალური ხელფასის ზრდის პოტენციალის ირგვლივ.

კონფერენციის ორგანიზატორები ვიმედოვნებთ, რომ ფართო მსჯელობა და ტრანსფორმაციის პროცესში მყოფი სხვა ქვეყნების გამოცდილების განხილვა ხელს შეუწყობს საკითხის უკეთ გააზრებასა და დასახული ამოცანის გადაჭრის შესაძლებლობების მოძიებას.

კონფერენცია იწვევს პოლიტიკოსებს, ანალიტიკოსებს, ჟურნალისტებსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს გერმანიიდან, საქართველოდან, სომხეთიდან, ჩრდილოეთ მაკედონიიდან, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და დიპლომატიური მისიებიდან.

პატივს დაგვდებთ, თუ დაესწრებით აღნიშნულ კონფერენციას და გაგვიზიარებთ თქვენს მოსაზრებებს საქართველოში მინიმალური ხელფასის შესახებ მისასალმებელ სიტყვაში.

სიამოვნებით მივიღებთ თქვენს შენიშვნებსა თუ წინადადებებს თანდართულ დღის წესრიგთან დაკავშირებით (felix.hett@fesgeo.ge Cc.: ia@fesgeo.ge).

ვიმედოვნებთ თქვენს ინტერესსა და გამოხმაურებას.

პატივისცემით,

ფელიქს ჰეტი

სამხრეთ კავკასიის წარმომადგენლობის დირექტორი

Friedrich-Ebert-Stiftung
Regional Office South Caucasus
Apt. 7, Nino Ramishvili str. 4
0179 Tbilisi, Georgia

ფრიდრიხ ებერტის ფონდი
სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ოფისი
ნინო რამიშვილის ქ. 4, ბ. 7
0179 თბილისი, საქართველო

Phone: (+995 32) 225 07 28
Fax: (+995 32) 222 67 27
E-mail: stiftung@fesgeo.ge
http:// fes-caucasus.org